

იურიდიული პირების რეგისტრაცია ბლოკჩეინ სისტემის
გამოყენებით და მისი საქართველოში რეალიზების პერსპექტივები

თამარ ჟვანია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი : ზვიად გაბისონია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჟვანია, თ. ჟვანია

16.06.2023

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის ფარგლებში განხილულია იურიდიული პირების სრულად ონლაინ, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით რეგისტრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები და მისი რეალიზების პერსპექტივები საქართველოში, მიმდინარე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, ესტონეთისა და სხვა მაღალტექნოლოგიური ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ბლოკჩეინ სისტემის დანერგვაზე და ციფრული მმართველობის განვითარებაზე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდება სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან სრულად დისტანციურად დარეგისტრირება, რაც გაამარტივებს ბიზნესის კეთების ხარისხს, გაზრდის ეკონომიკას და გახდება მომხმარებელზე მეტად ორიენტირებული. ბუნებრივია, ყველაფერს ახლავს სირთულეები, მათ შორის მმართველობითი პროცესების გაციფრულებას, თუმცა ჩემი კვლევის ფარგლებში თითოეული ასპექტი დეტალურადაა განმარტებული, თუ როგორ შეიძლება არსებული სირთულის ძლიერ მხარედ ქცევა და ის მოსალოდნელი პერსპექტივები, რაც საქართველოს მოელის ციფრული მმართველობის გაძლიერების შემთხვევაში, რაც სამართლის ტექნოლოგიების (ე.წ. „ლიგალთექის“ LegalTech) განვითარებით იქნება შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე, მეტად ყურადსაღები და აქტუალურია ის ძირითადი ასპექტები, რომელიც თან ახლავს მეწარმე და არასამეწარმეო იურიდიული პირების სრულად ელექტრონულად, ბლოკჩეინ (Blockchain) სისტემაში რეგისტრაციაზე გადასვლას.

შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იუსტიციის სისტემის წინაშე არსებული სამართლებრივ-ტექნიკური გამოწვევების წარმოჩენა ქართული და ევროპული სამართლის ჭრილში და მისი მოგვარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: Blockchain (ბლოკჩეინი), დიჯიტალიზაცია, ციფრული მმართველობა, იურიდიული პირები, სამართლის ტექნოლოგიები, LegalTech, Ethereum (ეთერიუმი), იუსტიციის სისტემები, იურიდიული პირის ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით რეგისტრაცია, ელექტრონული რეგისტრაცია, ჰეშ კოდი, DLT (განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია), ChatGPT (გლობალური წინასწარგაწვრთნილი ტრანსფორმერი).

Abstract

Within the framework of this paper, the challenges related to the fully online registration of legal entities using blockchain technology and the prospects of its realization in Georgia are discussed, based on the analysis of the current law of Georgia on entrepreneurs, the legislation and practice of Estonia and other high-tech countries.

Special attention is focused on the implementation of the blockchain system and the development of digital governance, which will allow entrepreneurial and non-entrepreneurial legal entities to register completely remotely from anywhere in the world, which will simplify the quality of doing business, increase the economy and become more customer-oriented. Naturally, everything is accompanied by difficulties, including the digitization of government processes, however, within the framework of my research, each aspect is explained in detail, how the existing difficulty can be turned into a strong point, and the expected prospects that Georgia expects in case of strengthening of digital governance, which is due to the use of legal technologies (the so-called It will be possible with the development of „LegalTech”.

Therefore, the main aspects accompanying the transition to fully electronic registration of entrepreneurial and non-entrepreneurial legal entities in the Blockchain system are very important and relevant.

Accordingly, the main task of this paper is to present the legal-technical challenges facing the justice system in the context of Georgian and European law and the perspectives of their solution.

Keywords: Blockchain, digitalization, digital governance, legal entities, law technologies, LegalTech, Ethereum, justice systems, legal entity registration using blockchain technology, electronic registration, hash code, DLT (distributed ledger technology), CHATGPT (global pre-trained transformer).